ფასი გაზეთისა

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


შაბათს, 10 ივნისს, დილის 10 საათზედ ავლაბარში წმ. მარინეს ეკკლესიაში გადახდილ იქმნება ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **იოსებ ილარიონის ძის ფორაქაშვილის** სულის მოსახსენებლად, რასაც მეუღლე, დედა, დანი და ძმანი განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. 2—2

„ჯეჯილისა“ და „კვალის“ რედაქცია ამ წლის ივლისის 9-დან გადადის ახალ სადგომში: დიდი ვოდოვოზნი ქუჩაზედ, აივაზოვის სახლში № 22.

(3—1)

## დიდებული მაგალითი

ცხოვრების ასპარეზზედ შეგხვდებათ ხოლმე ისეთი ადამიანი, რომლის წინაშე უნებურად თავს იხრით და ჰგრძნობთ, რომ იმისმა დანახვამ, იმასთან დაახლოვებამ თქვენც სიკეთე მოგმატათ, აღგამაღლათ.

ასეთს ღვთისაგან ნაკურთხ ადამიანთა გუნდს ეკუთვნის შესანიშნავი ინგლისელი ქალი: მისს კეტი მარსდენ.

მაშინ, როდესაც უპირველესს მცნებად გამხდარა პირადი ბედნიერება და ყოველი ღონე მიმართულია იმაზედ, რომ ცხოვრების მოედანზედ, რაც შეიძლება, საუკეთესო ადგილი დაიჭიროს თითოეულმა მებრძოლმა—დღეს ხომ ცხოვრებას ბრძოლა ეწოდება?—ისეთის გვარის ადამიანის დანახვა, როგორც მისს კეტი მარსდენია, ჭეშმარიტად რომ ბედნიერებაა!

ამ ძლიერის სულის ქალისთვის, როგორც ნამდვილის ქრისტიანესთვის, სულ ერთია, ვის ეჭირვება მისი დახმარება და შველა: ინგლისელს, თუ ბურიატს! მისს კეტი მარსდენ თანასწორის სიბრალულითა და სიყვარულით ეპყრობა და უვლის ყველა გაჭირვებულს. მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ღონე და საშვალება შესწირა ამ თაყვანის ცემის ღირსმა ქალმა, რომ ექმნას ნუგეშად უბედურთა და სნეულთა.

ორის წლის წინად, მისს კეტი მარსდენ გაემგზავრა ინგლისიდან ციმბირის უდაბურს ქვეყნებში, სადაც ეგულებოდა მრავალი უჭირისუფლო კეთროვანი. ადვილი წარმოსადგენია, რამდენს განსაცდელს და გაჭირვებას ჰნახავდა ჯერ გზაში, რადგანაც ხშირად შეხვდებოდა მგზავრობა სრულიად უგზო და გაუვალ ადგილებში. ჩვენ გვახსოვს ერთი სურათი, რომელზედაც დახატულია მისს კეტი მარსდენ, მიმავალი ზამთარში უდაბურს მინდვრად მარტოდ-მარტო, მხოლოდ ერთის გზის მაჩვენებლის კაცითა.

კეტი მარსდენი მიდის კეთროვანთა მოსავლელად, რომელნიც უპატრონოდ ზეზეულად იხრწნებიან. აღზრდილი ლონდონში, ეს მაღალ საზოგადოების მანდილოსანი, სტოვებს თავის დიდებულს სამშობლოს და მიემგზავრება 15 ათასი ვერსის მანძილზედ, მხეცებში, მისთვის სრულად უცნობ ქვეყანაში და ხალხში, მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ქრისტიანული მოვალეობა შეასრულოს: ნუგეში სცეს დავრდომილსა და დამაშვრალსა! რა დიდებული და სხივოსანი მაგალითია!

ასეთის ადამიანების მოვლენა კაცობრიობისთვის ნამდვილი ღვთის წყალობაა, რადგანაც ისინი არიან გზის მაჩვენებელნი მნათობნი, ისინი ამცნევენ ხალხს, თუ რა არის ნამდვილი დანიშნულება და მოვალეობა კაცისა! ხანდისხან რომ ქვეყანას ასეთი გამომათვხიზლებელი დიდებული კაცნი არ მოევლინებოდენ, აქამდე დედამიწა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და ადამიანის შვილნი მხეცებს დაემზგავსებოდნენ!

ამ ჟამად მისს კეტი მარსდენ ჩიკაგოს გამოფენაზეა და აგროვებს ფულს რომ, დაეხმაროს თავის ავადმყოფთა და სნეულთა. გამოფენაზედ მისს მარსდენს მოუწყვია კეთროვანთა ყოფა-ცხოვრების სურათი და, ამბობენ, საშინელს შთაბეჭდილებას თურმე ახდენს ამ უბედურთა მდგომარეობა.

ამას გარდა ეს მხნე ქალი კითხულობს ლექციებს ინგლისში, ამერიკაში და ამ რიგად შეგროვილს ფულს ჰგზავნის რუსეთში სულ იმ ციმბირელთა ავადმყოფთათვის.

ასეთი ენერგიული მოღვაწეობა და თავის გაწირვა მოყვასისთვის მისს მარსდენისა ღირსეულად დააფასა ინგლისის საზოგადოებამ. ხალხი ეხლაც „ჩვენს კეთილს კეტის“ უწოდებს მისს მარსდენს და უხვად აჯილდოებს საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით.

ნეტავი იმ ქვეყანას, სადაც ამისთანა მაღალის გრძნობის ადამიანი აღიზრდება!

დიდებულს მაგალითს თავის თავად აქვს კეთილი გავლენა. ამიტომ მომეტებულად მიგვაჩნია, რაიმე ანალოგია გავატაროთ აქ, და ვისურვოთ ჩვენც გამოგვჩენოდეს ასეთი გულის მოღვაწენი.

გასაოცარი თავ-განწირულება და გმირობა, მართალია, ყველას არ მოეთხოვება, მაგრამ ასჯერ რომ შენსკენ გასწიო და ასჯერ შენთვის იზრუნო, ასმეერთეჯერ სხვაც გაიხსენე; გაიხსენე ის, ვისაც შენი შემწეობა სჭირია!

ამისათვის არც ინგლისის თავისუფალი ნიადაგია საჭირო, არც მაგალითი კეტი მარსდენის თავდავიწყებულ მსახურებისა და არც მისი თავგანწირულება!

ქართველის ბუნებისათვის კეთილის სათესური უცხო არ არის, მხოლოდ ამ თესლს გონიერი მოვლა და აღზრდა უნდა.

წინად ქართველ ოჯახში—როგორც დღეს ინგლისში—მოვალეობას და სიყვარულს ღვთისა და კაცისადმი საღმრთო წერილიდან სწავლობდნენ. ეხლა-კი, სამაგიეროდ, სისხლის ამღვრევ რომანებიდან უნდა შეიძინოს ჩვენმა ახალგაზდობამ ზნეობა და სიბრძნე ამა სოფლისა!

ვერაფერი სანუგეშო ამბავია?!

მეველე

## ახალი ამბავი

*** 7 ივლისს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა სამის მამულის გასასყიდად, ორი ქალაქისა და ერთიც სოფლისა. ბანკს დარჩა ერთი მამული (გორში მირიანაშვილისა), რომლის თავნი ვალი 5,444 მან. 31 კაპ. იყო.

*** ნება დართულია სახელმწიფო ხაზინიდგან ყოველ წლივ მიეცეს სამღვდელოებას 250,000 მანათი, ვიდრე მთელ იმპერიის ეპარქიების ყველა კრებულს ჯამაგირი არ დაენიშნება ხაზინიდგან. ჯამაგირი ასე განაწილდება: მღვდელს 100 მაგიერ 600 მანათი, მთავარს 80 მანათიდგან—300 მან. დიაკვნებს—40 მაგიერ 200 მან.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა უკვე შეადგინა ანგარიში 1891 წ. თავისს მოქმედებისა.

*** ჩვენ მივიღეთართვინიდამ ბ-ნ მ. მრევლიშვილისაგან 60 მან. ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული შეუგროვებათ კნ. პ. მიქელაძესა და კნ. ნ. აბაშიძეს ართვინის ქართველთა შორის. ამ ფულისა დღემდე იყო 265 მ. 40 კ. შესდგა სულ 325 მან. 40 კ.

*** ეს მეორე დღეა, ავჭალის წყალის მილი კარგად ვერ მუშაობს და ტფილისის მცხოვრებნი ძლიერ გაჭირვებულნი არიან უწყლობით, ასე რომ იძულებულნი შეიქმნენ მტკვრიდგან მოტანილი წყალი სვან.

*** კვირას, 11 ივლის, მცხეთის სადგურის პირდაპირ, გორნიჩის მამულში, იქაურის ეკკლესიის დღესასწაულია. ეს ეკკლესია, როგორც ამბობენ, არის აშენებული მეოთხე საუკუნეში და კანკელი აქვს თლილის ქვისა. შარშან აკურთხეს სასუ-

## ფელეტონი

### ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი და მომავალ სამეურნეო განყოფილების ბედი.

„თუ კარგს დასაბამს დასასრული არა აქვს, არაფრადა ჰღირს“.

(კორნელი)

„თუ ადამიანს ჰსურს, რომ მისი ცხოვრება ისეთი იყოს, როგორც კაცს ეკადრება, არც ბევრის იმედი უნდა იქონიოს და არც სასოება წარიკვეთოს“.

(ლავაიერი)

(შემდეგი *)

როდესაც ეს სკოლა დაათვალიერა შარშან გაზაფხულს ქუთაისის გუბერნატორმა, პირველად ის იკითხა, რას ასწავლიან სასწავლებელში გარეშე სავალდებულო საგნებისაო. პასუხად ის მიიღო, რომ, გარდა მუსიკისა და აბრეშუმის მოყვანისა, სხვას არას ასწავლიანო. ამასთანავე გუბერნატორმა იკითხა: „რა სწავლაა სასურველი და საჭიროც ადგილობრივ ვითარების მიხედვით?“—აგრონომიულ განყოფილების გამართვა სკოლასთან, იყო პასუხი სასწავლებლის წარმომადგენლისა. ეს აზრი გუბერნატორსაც მოეწონა და აღუთქვა სკოლას შესაფერი დახმარება საქმის სისრულეში მოსაყვანად. იმასთანავე სკოლის პედაგოგიურმა რჩევამ იმავე დღეს თუ მეორეს წარუდგინა გეგმა მომავალის განყოფილებისა. ამას შემდეგ გაიარა რამოდენიმე თთვემ და მოვიდა ცნობა ქუთაისიდამ, რომ ოზურგეთის სამ-კლასიანს სამოქალაქო სკოლას მიეცემა საერო ფულიდამ სამეურნეო განყოფილებისათვის ყოველ წლივ 1,000 მანათი, ხოლო დანარჩენი ფული, რაც განყოფილებას დასჭირდება, ხალხს უნდა ეკისრანა. მაშასადამე, საქმის დაწყება შესდგა იმაზე, გურიის ხალხი (გლეხობა და თავად-აზნაურობა) შესძლებს და ისურვებს თუ არა აძლიოს სამოქალაქო სკოლას განუწყვეტლივ საჭირო ფული სამეურნეო განყოფილებისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტა და დაბოლოება მიენდო ბ-ნ გუბერნატორისაგან ოზურგეთის მაზრის უფროსს, რომელიც მხნედ და თანაგრძნობით შეუდგა მინდობილების ასრულებას.

თავდაპირველად მაზრის უფროსმა მიჰმართა თავად-აზნაურობას, რომელმაც თავის პირველ კრებაზე თანხმობა გამოაცხადა ამ საქმისათვის ფულით დახმარებისა. ხოლო გამოსარკვევად და გარდასაწყვეტად იმისა, თუ რომელს სკოლას მიეცეს შემწეობა—სამოქალაქო, თუ ცალკე გამართულს სამეურნეო სკოლას,—საქმე გადაეცა კომისიას. ბევრს ემუდარა და ელაპარაკა კრებას მაზრის უფროსი იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურნი ბრძანდებიან მოწვეულნი იმის სათქმელად, დაეხმარებიან თუ არა სამოქალაქო სკოლასთან გასახსნელს სამეურნეო განყოფილებას,—მაგრამ კრებამ რამდენთამე საქმის ახსნა-ჩვენებით არც „ჰო“ უთხრა მაზრის უფროსს და არც „არა“, და საქმის გადაწყვეტა კომისიას მიანდო, როგორც ვსთქვით. კომისიამ შეიმუშავა საქმის ვითარება, როგორც შეეძლო; აგრეთვე კომისიას გადაეცა აგრონომიულ განყოფილების ზემოხსენებული პროგრამმა, რომელიც სამოქალაქო სკოლის ინსპექტორ-მასწავლებლის კერძო თხოვნით შეადგინა თ. ერმილე ნაკაშიძემ. ეს პროგრამმა კომისიამ მოიწონა და გადასწყვიტა ამ პროგრამით ცალკე სამეურნეო სასწავლებლის დაარსება. სამეურნეო სკოლის ყოველწლივ სავარაუდო ანგარიშად ანუ ბიუჯეტად კომისიამ მიიღო 5,350 მანათი (ამ ფულში, თუ არ ვსცდებით, ურევია ის 100 თუმანი, რომელიც გუბერნატორმა აღუთქვა სამეურნეო განყოფილებას); გარდა ამისა ცალკე ასეთს სკოლას ხალხმა უნდა აუშენოს შესაფერი სახლიც. სანამ ოზურგეთში ჩამოსულ თავად-აზნაურობის უკანასკნელი კრება შესდგებოდა, კომისიამ, რომელსაც თავისი შემუშავებული აზრი უნდა წარედგინა კრებისათვის,—მიიღო ცნობა გუბერნატორისაგან და საერო სკოლების დირექტორის ქადალდიც, რომ ბიუჯეტი—5,350 მანათი სრულიად არ კმარა ამგვარის სკოლის დაარსებისათვის და არც ცალკე სამეურნეო სასწავლებლის გამართვა შეუძლია ჯერ-ჯერობით ეკონომიურად დაცემულს გურიის ხალხსაო, და სხვ., ისევ იმ თქვენს ოზურგეთში არსებულს სკოლას აღმოუჩინეთ ის შემწეობა, რასაც გთხოვდნენო. სხვისი რა მოგახსენოთ, და გლეხობა, რომელიც ქედ-მოხრილია სხვადა-სხვა გარდასახადისაგან და უიმისოდაც ინახავს თავის შვილების აღსაზრდელად ორ კლასიანს თუ ერთკლასიანს სასოფლო სკოლებს,—რომ მართლა ახალს დიდს ხარჯს ვერ შესძლებს, ეს ცხადია. ვამბობთ ამას იმ უმრავლეს გლეხობაზე, რომესაც საკმაო სახნავ-სათესი მიწაც არა აქვს, და იძულებულია იმავე მებატონეთა ადგილი დაიმუშაოს ხოლმე სხვა-და-სხვა პირობით. ღმერთმა ინებოს, რომ ვსცდებოდეთ — საკუთრად ჩვენთის და ყველასთვის ეს სასიამოვნო იქნე-

*) იხ. «ივერია», № 144.

ლიერო მთავრობის ნებართვით. დრო გამოშვებით წირვა-ლოცვაც არის ხოლმე ეკკლესიაში. წელს დიდის ამბით აპირებს თვით პატრონი იდღესასწაულოს ტაძრის დღეობა; ტფილისიდამ ბლომად აპირებს ხალხი წასვლას და ღირს კიდეც ნახვა იმ ეკკლესიისა, ისეთ მშვენიერს ადგილას არის.

*** ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გავუზიაროთ ჩვენ მკითხველებს: აქამდისინ წესად იყო შემოღებული, რომ საგუბერნიო მთავრობა იჯარით აძლევდა სხვა-და-სხვა მოიჯარადრეებს გზა-ტკეცილების გაკეთებას სოფლად და მაზრებში. იჯარადარნი თავის მხრივ გზის გაკეთებას, ან შეკეთებას, ნაჭრობით აძლევდნენ სოფლის წურბელებს, რომელნიც ამუშავებდნენ გლეხებს დღიურად. ასე რომ სოფლელის ჯიბეში სულ მცირედი სასყიდელი ჩადიოდა, მდიდრდებოდნენ მხოლოდ მოიჯარადრენი და სხვა-და-სხვა სოფლის წურბელაები. ვსთქვათ, პირველმა მოიჯარადრემ საჟენი თუმნად აიღო, ეს რვა მანათად მეორე იჯარადარს გადასცემს, ეს სოფლის წურბელას ექვს მანათად, უკანასკნელი კიდევ სოფლელს, ბევრი-ბევრი, ორ-სამ მანათად.

დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს სოფლის მკვიდრისთვის დამღუპველი წესი იცვლება. წელს უნდა შეკეთდეს გზა-ტკეცილი ტფილისიდამ ზაქათალამდე. სიღნაღის მაზრის უფროსის ბ-ნ კ. ზ. შანშიევის მეცადინეობით, ბ-ნი გუბერნატორი დასთანხმდა, რომ გზის შეკეთება იჯარით არ გაიცეს და თვით პირდაპირ გლეხებმა გააკეთონ გზა. ამ გვარად ის შვიდი ათასი მანათი, რომელიც გადადებულია გზის შესაკეთებლად სიღნაღის მაზრაში, მარტო გლეხებს ერგებათ და მოიჯარადრენი ხელს ველარ მოითბობენ და ჯიბეს ვერ დაისქელებენ სხვის ოფლით.

ბ-ნმა მაზრის უფროსმა ამასთანავე გამოსთხოვა ბ-ნ გუბერნატორს ნება-რთვა, რომ მუშაობა გადაიდვას თხუთმეტ ენკენისთვემდის, რადგან ეხლა სოფლად სისხლის პურის ჭამის დროა და სოფლელს გზაზე სამუშაოდ არა სცხელა.

ვისურვებთ სულით და გულით, რომ ეს პირველი ცდა რიგიანად შესრულებულიყოს. მაზრის ადმინისტრაციის მხნეობაზეა დამოკიდებული ამ დაწყების სასურველად დაგვირგვინება. თუ ეხლა რამე დაბრკოლება და უწესოება აღმოჩნდა, უეჭველია, შემდეგისთვის საგუბერნიო სამმართველო ისევ ძველ წესს მიჰმართავს და ხელ-მეორედ გაუთენდებათ მოიჯარადრეთ დაბნელებული დღე.

*** სოფ. ორტკუში (გორის მაზრა) 20 ივნისიდგან 1 ივნისამდე ჩუტყვავილით ავათ გამხდარა 7, მორჩენილა 3 და ორი ისევ ავათ არის. სოფელ მურდარანთკარში (გორ. მაზ.) 1 ივნისიდგან 1 ივლისამდე ავად გამხდარა საოფლეთი 14, სამი გარდაცვლილა, 4 მორჩა და 7 ისევ ავად არის.

*** სოფ. ვჳაში (გორის მაზრა): აპრილის გასულიდგან ორ ივლისამდე სახადით ავად გამხდარა 11 კაცი, ამათში სამი გარდაცვლილა, ერთი მორჩენილა და 7 ისევ ავად არის.

*** „Нов. Обозр.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ახლად ამორჩეულ რწმუნებულთ სურთ საზოგადო კრებაზედ კითხვა აღძრან იმის შესახებ, რომ საკრედიტო საზოგადოების ადმინისტრაციის ამორჩევა ზედ მოაყოლონ მე 3 რიგის რწმუნებულთა ამორჩევას, მესამე რიგის რწმუნებულთა არჩევანები დანიშნულია 11 ივლისისათვის.

*** გაზ. „Lancet“-ში მოყვანილია ცნობები ხოლერის შესახებ ევროპასა და აზიაში. ლორიანში (საფრანგეთშია) მაისის გასვლამდე 307 უმსხვერპლია ხოლერას. ივნისში-კი მხოლოდ ორი. სამხრეთ საფრანგეთში ხოლერა მოდებულია ოდისა, მდ. რონისა, გარისა, გეროსი, ვარისა და ვოკლიუზის ნაპირ დეპარტამენტებში. ზემოხსენებულ ადგილებში ივნისის ნახევრამდე 356 ხოლერით ავადმყოფი გარდაცვლილა. რამდენიმე გარდაიცვალა აგრეთვე მონპელიეში, სეტში და გიერში. პარიჟში ხუთი შემთხვევა იყო ხოლერით სიკვდილისა. აზიის ოსმალეთში თანდათან ძლიერდება ეს სენი. ბასსორის ვილაიეტში 5—11 ივნისს (ახალ. სტ.) 71 გარდაიცვალა. სპარსეთიდგანაც იუწყებიან, რო მოხამმერში უკვე თავი იჩინა ხოლერამაო.

მექადგან იუწყებიან, თუმცა წარსულს კვირას ძლიერ მძვინვარებდა ხოლერა, ეხლა მინელდა და, იმედია, მალე სრულიადაც მოისპობაო.

*** ივლისის 8 ჯარის კაცად ნამყოფმა ანტონ კარაპენკომ კალიუჩი ბალკაში თავის სადგურში სიმთვრალის დროს კარბოლის სიმჟავე დალია. წაიყვანეს სამკურნალოში და იქვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღეს ტფილისის სამკურნალოს ორდინატორმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ალექსანდრეს ქუჩაზე სახლის ღია ფანჯრიდგან 45 მან. ღირებული ხალიჩა, ლეიბი, საბანი და სხვა ნივთეული მომპარეს.

*** ტფილისის რკინის გზის მახლობლად ტფილისის მცხოვრები ქიტესა ახალკაციშვილი და სოფ. კავთიხევისი მცხოვრებ იოსებ გეშეროვი მიწასა სთხრიდნენ პოვოსკით წასაღებად. მიწა მოირღვა და ორივენი მიწას მოჰყვნენ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ზესტაფონი**, ივლისი. გუშინ, ღამის თორმეტ საათზე, აქაურ რკინის გზის სადგურის დეპოსთან მდგარ ლოკომოტივის საზარელმა სტვენამ მთელი ზესტაფონი ფეხზე დააყენა. ცეცხლის ალისაგან დაბა დღესავით განათებულიყო. ცეცხლის მსხვერპლი გახდა აქაურ მცხოვრების დიმიტრი ცქიტიშვილის სახლი და მის წინ მოდგმული ფაცრული ქოხი შავის-ქვის მწარმოებელ გედევან ჩუბინიძისა, სადაც კურტნის გასაკეთებელი ჰილი ეწყო. ცეცხლი ამ ორ შენობას ისე ერთბაშად მოედო, რომ მათი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. მოკლეს ხანში ცეცხლის გაჩენის ადგილას მაზრის უფროსი, ბ-ნი ლ. ჯაყელი, და პოლიციის ბოქაული, ბეს. ქავთარაძე, ყაზახ-რუსებითურთ მოიჭრნენ. თითქო ამათ მისვლას უცდიდნენ, შეგროვილმა ხალხმა მხოლოდ ახლა გამოიღო ხელი, ახლა გამოიდო თავი. ზოგს მახლობელ ჭებიდგან სათილებით წყალი მოჰქონდა, ზოგი ქვებს უშენდა აგიზგიზებულს ცეცხლს, ზოგი ეზოს ვარშემოვლებულს მესრებს ჰგლეჯდა და ცეცხლ-მოდებულ სახლების აქეთ-იქით გვერდზე ჩამწკრივებულ ხის დუქნებიდან გაქანებით გარედ ისროდნენ, რაც-კი ხელში ხვდებოდათ. მაზრის უფროსმა ბ-ნმა ჯაყელმა და ბეს. ქავთარაძემ მართლა რომ საოცარი სიმარჯვე გამოიჩინეს! ორივენი წინ უხვდებოდნენ დუქნებისაკენ გადმოხრილ ცეცხლის ალს, თავისის მაგალითით სხვებსაც აქეზებდნენ, გულხელ დაკრეფილებს ძალათი ანძრევინებდნენ ხელს; ასე რომ ერთს საათს უკან ცეცხლს გზა მოუჭრეს, სხვა დუქნებსა და შენობებზე არ გადაუშვეს და ამოდენა ხალხი უეჭველ განაცარტუტებისაგან, დაღუპვისაგან იხსნეს. და ყოველივე ეს უწყლოდ, მარტო ჩანგლებით, ისიც ბოლოს დროს მოშველებულებით, მოახერხეს; ამიტომ რომ ანგარიშში მისაღები არც-კია ის წყალი, რომელიც ზიარებასავით სათილებით მოჰქონდათ, ისიც რის ვაი-ვაგლახით, ორმოც-ორმოცდაათ საჟენის მანძილზე მდებარე ჭებიდგან! — ბოლოს როცა შიში არაფრისა იყო, რკინის გზის დეპოდგან (კიდევ კარგი, რომ ეს უკანასკნელი დამწვარ სახლის პირდაპირ იდგა!) ლოკომოტივი მიუყენეს და წყალს შლანგით ასხამდნენ. სულ ბოლოს რკინის გზამვე წყლით სავსე ბოჭკებიც მოაშველა.

საათ ნახევარში ეს ორი შენობა მიწასთან გასწორდა, ნახშირსა და ნაცარს შუა ერთი ბუხარი-ღა იყო ზევით ამართული. ცეცხლი წაეკიდა აგრეთვე წაბლის მარგილს, რომელიც ზემოხსენებულ ჩუბინიძესავე ეკუთვნოდა. ცქიტიშვილს ამ სახლის დაწვით ოცდა ხუთ თუმნამდე ზარალი მოუვიდა. როგორც ხედავთ, სახლი ძვირფასი არა ყოფილა, მაგრამ მის პატრონს-კი მის მეტი არა ებადა-რა ქვეყანაზედ. არც ჩუბინიძესაც მოსვლია ოცდა ხუთ თუმანზე ნაკლები ზარალი. — ერთს მიკიტანს, ლუარსაბ რობაქიძეს, დუქნიდგან ბარგი-ბარხანის და საქონლის გამოყრის დროს, როგორც თვითონ ამბობს, ჩვიდმეტი თუმანი ფულად დაჰკარგვია.

კიდევ კარგი, რომ ქარი არა ჰქროდა და ცეცხლის ალი პირდაპირ ჰაერში ადიოდა, თორემ ერთი რომ განზე გაეწია, ნახევარ ზესტაფონისაგან ფერფლი ღა დარჩებოდა.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი დანამდვილებით არავინ იცის. ჩუბინიძის იმ ქოხში, სადაც საკურტნე ჰილი ეწყო, შიგ არავინა მდგარა. ხოლო ცქიტიშვილისას ყველას ეძინა და სანთელი ჩაქრობილი იყო. როცა ცეცხლი გაჩნდა, შიგ მყოფები გარეშე ხალხმა გაალვიძა. — ცქიტიშვილის სახლი დაზღვეული არა ყოფილა.

სირცხვილი-კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ასეთს მდიდარს დაბაში ცეცხლის საქრობი იარაღი არა ჰქონდეთ. სირცხვილზე უარესიცაა! იქმნება, ამას შემდეგ მაინც ყურები შეიბერტყონ. რა თქმა უნდა, ღმერთი არ უწყენსთ!..

ამ თთვის პირველიდგანვე აქ ძალზე დიდი სიცხეები დაიჭირა. დილიდგან მოყოლებული საღამომდე თონესავით გახურებული ზენა ჰქრის; ყველაფერი გადაახმო. მას ზედ ერთვის შავის-ქვის და უბრალო მიწის მტვერი, და კაცს სულთქმა უჭირდება. თუ წვიმა არ მოვიდა, სიმინდს ცუდი დღე დაადგება, პურები გაიჭრა. მოსავალს არა უშავს-რა.

თ. ს.

## სიტყვა ემილ ზოლასი მოპასანის დასაფლავებაზე

(დასასრული *)

მოპასანს მომადლებული ჰქონდა ყოველ გვარი საუკეთესო თვისებანი; ამ გარემოებას იმიტომ ვაქცევ ყურადღებას, რომ მოპასანის დიდება სწორედ ამაზედ არის გამყარებული. მე მსურს, მოპასანი მუდამ მახსოვდეს მოღიმარი, გამარჯვების იმედით სავ-

*) იხ. „ივერია“, № 144.

---

ბა. კომისია ზემოხსენებულ მიზეზის გამო ორ-ცეცხლ-შუა მოექცა, დააჩქარა და ბ-ნ გუბერნატორის წინადადების მიხედვით ასე შესცვალა თავისი აზრი: თავად-აზნაურობამ აღმოუჩინოს დახმარება სამოქალაქო სკოლასავე, რათა იმ სკოლასთან დაარსდეს ჯერ ჯერობით სამეურნეო განყოფილება, შემდეგ, როცა გურიის მკვიდრნი ნივთიერს წარმატებაში შევლენ, უნდა გაიმართოს ცალკე სამეურნეო სასწავლებელი. ასე საჩქაროდ შედგენილი გადაწყვეტილება თავისი კომისიამ გამოუცხადა საზოგადო კრებას, რომელსაც ასე თუ ისე უნდა დაებოლოვებინა ეს ფრიად საყურადღებო საქმე. რადგან უკანასკნელი კრება 18 აპრილს გვიან მოხდა, ამიტომ თავად-აზნაურობამ იმავე დღეს კომისიის დადგენილობის შესახებ თავის საკუთარ აზრის წარმოთქმა ველარ მოასწრო, და მხოლოდ მეორე დღეს, 19 აპრილს, დაბოლოვდა საქმე. კრება გაუხდა თანხმა კომისიის ახალს აზრს და გადასწყვიტა ყოველ წლივ აძლიოს დროებით ოზურგ. სამოქალაქო სკოლას სამეურნეო განყოფილებისათვის 500 მანათი.

იმ დროს, როდესაც თავად-აზნაურნი ამ საშვილი-შვილო საქმეზე ზრუნავდნენ სიტყვით თუ საქმით, გლეხობაც არა ყოფილა გაჩუმებული. წელს, სააღდგომოდ მაზრის უფროსმა ჩამოიარა გურიის სასოფლო საზოგადოებანი და ყველა, გარდა 2—3 საზოგადოებისა, დაითანხმა, რომ ოზურგეთის სამოქალაქო სკოლას დაჰხმარებოდნენ სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად; ამ საქმისათვის თითოეულს საზოგადოებას განაჩენიც დაუდგენია. თვითონ ქ. ოზურგეთი რომ დაეხმარება, სხვასთან ერთად, სასწავლებელს ამ საქმეში, შეძლების კვალად, ეს ყოველსავე ეჭვს გარეშეა; თუმცა, ღვთისწინაშე, პაწაწა ოზურგეთისათვის ეს სკოლა სახელითაა, თორემ სახრავი უფრო სოფლელებისაა.

ქალაქს ოდესაში სამოქალაქო სკოლასთან მკვიდრთა სურვილით და ხარჯით ინახება დამატებითი სატელეგრაფო განყოფილება; დაამთავრებენ თუ არა სწავლას, მსურველნი გადადიან განყოფილებაში სატელეგრაფო სწავლის მისაღებად, თქმა არ უნდა, ასეთი სასწავლებელი განყოფილებით მეტს სარგებლობას მოუტანს ხალხს, ვინემ ისეთი, რომელიც ვერც სოფლურ ცხოვრებისათვის ამზადებს ახალთაობას და ვერც წვრილფეხა „ჩინოვნიკობა“ — მოხელეობისათვის. თუ ოდესას ისეთი განყოფილება შეეფერება ადგილობრივ ცხოვრების მიხედვით, მაშ ჩვენს ბუნებით დაჯილდოებულს და მეურნეობა-მრეწველობით-კი დაცემულს გურიაზე ზედ გამოჭრილია სამეურნეო განყოფილება ეხლანდელს სასწავლებელთან.

ეს ოზურგეთის სასწავლებელი თავისის სამეურნეო განყოფილებით, სადაც აგრონომიულ საგნებისათვის უსათუოდ სპეციალისტები უნდა იქმნენ დანიშნულნი, ვფიქრობთ, ცოტა სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს მხარეს. ის კაცი, რომელსაც საზოგადო განათლება მიუღია და ცოტად მაინც შეუთვისებია სამეურნეო ცოდნა, უკეთ და უფრო ცნობიერად წაიყვანს თავის სამეურნეო საოჯახო საქმეს, ვინემ სპეციალურად მომზადებული, რომელიც საზოგადო განათლებით და გონების განვითარებით ჰკოჭლობს. აი რატომ: პირველს თავისი ნაკლები ცოდნა შეუძლიან შეავსოს სპეციალურ წიგნების კითხვითა და ამ გვარად წინ წავიდეს; ხოლო მეორესათვის თავის ნაკლულევანების გასწორება გაცილებით ძნელია. პირველის მაგალითები აუარებელია რუსეთში, თუ სხვა ქვეყნებში. თუ გინდ აიღეთ ინტელიგენტთა ახალშენები რუსეთში. უმეტეს ნაწილად იმათ სრულებით არა აქვთ პრაქტიკულად შესწავლილი მეურნეობა და, რაც უფრო საძნელოა მათთვის, ფიზიკურს შრომასაც არ არიან შეჩვეულნი. მართალია, ეს სამეურნეო განყოფილება ენგელგარტის მსგავსს მეურნეებს ვერ მისცემს გურიას, მაგრამ უბრალო სოფლის მეურნეს ყოველ-შემთხვევაში მოგვცემს. გარდა ამისა აქ და საზოგადოდ ქუთაისის გუბერნიაში, წვრილი, ძალიან წვრილი მემამულენი არიან, ამასთანავე მეურნეობა-მრეწველობაც ისე არაა ფეხ-ადგმული, რომ მემამულემ შეიძლოს საკმაო ჯამაგირის მიცემა სპეციალურად მომზადებულ ყმაწვილ კაცისათვის. ასეთი ნასწავლი, თუ შესაფერი ადგილი ვერ იშოვა, ან უნდა შევიდეს სახელმწიფო სამსახურში, რაიცა დიდი გაჭირვებით ჰხერხდება, და ან ისევ თავის კერას და მამულს დაუბრუნდეს. ამ შინ დაბრუნებისათვის ხომ სამოქალაქო სკოლის განყოფილებაც შესძლებს მომზადებას. მით უფრო სასურველი და საჭიროა, ასეთს სკოლებს დაბა-ქალაქებში სამეურნეო განყოფილება დაუარსონ ან აგრონომიული ხასიათი მისცენ სკოლას, რომ ვისაც შეძლება არ ექმნება სწავლა განაგრძოს ან სამსახურში შევიდეს, — იგი, რაკი სამეურნეო ცოდნა ექმნება და მუშაობასაც გადაჩვეული არ იქმნება, სოფელში დარჩება და ცხოვრების სახსარს იშოვის. თუ ეს ჩვენი უკანასკნელი აზრი ამ ხანად საოცნებოა, მაგიერად ოზურგეთის სამეურნეო განყოფილების დაარსება არაა შეუძლებელი; ამ მხრიდამ ხომ მაინც ასცილდება რამდენადმე ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობა უაზროდ და ცუდად ხეტიალს, რის შედეგიც არაოდეს კარგი არ ყოფილა და არც იქმნება კერძოდ გურიისათვის.

რადგან ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ავ-კარგიანობაზე გავაბი ლაპარაკი, მგონია, ამავე სკოლის

სე, როგორიც მოდიოდა ხოლმე ჩემთან ბედნიერ ახალგაზდობის დროს. მსურს მუდამ მახსოვდეს მართლაც რომ გამარჯვებული, სახელ-განთქმული, ბედნიერი, თითქოს განგებ დაბადებული დაფნის გვირგვინისთვის. ყველას ეგონა, და საბუთიანადაც, რომ ბედს უყვარს მოპასანი და სწყალობს კიდეც, რომ ბედი წინ მიუძღვის, გზას ვარდით უფენავს და მიჰყავს სახელისა, ბედნიერებისა და უკვდავებისაკენ. მეგობრებს უხაროდათ მისი ჯან-საღობა, რომელსაც, გეგონებოდათ, ვერა შეარყევს რაო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოპასანისთანა საღის ჭკუა-გონებისა ჩვენ მწერლებში არავინ მოიპოვებოდა. და უცბად-კი მოულოდნელმა ამბავმა მეხი დასცა ამ იმედს და უცბად გააქარწყლა.

მოპასანი ჭკუაზედ შეიშალა. განა ეს შესაძლებელი იყო? ეხლაც არა მჯერა!

ბედნიერება, ფოლადისებური ჯანსაღობა უცბად თითქოს უფსკრულმა შთანთქა! ეს ამბავი ისეთი შესაზარი იყო, რომ ყველას, ვისაც-კი მოპასანი უყვარდა, ეს საყვარული გაუორკეცდათ ამ უბედურობის გამო. არ ვიტყვი, მოპასანის სახელისა და მისადმი სიყვარულისთვის ასეთი ბოლო საჭირო იყო. მაგრამ ამ უბედურობის გამო ეს სახელი უფრო გადიდდა, ამ სახელს დაერთო გლოვის სურათი, რომელმაც მოპასანი აამაღლა და გახადა მოწამედ კაცობრიობის ბრძოლა ჭიდილისა, ადამიანის ჭკუა-გონების განვითარებისთვის. იმ სახელის გარდა, რომელიც მოპასანმა ლიტერატურაში მოიპოვა, იგი უკვდავი იქმნება, როგორც უბედნიერესი და ამავე დროს უუბედურესი კაცი, როგორც ხორც შესხმული სურათი წუთი-სოფლის არარაობისა,—იგი უკვდავი იქმნება ჩვენის ერის გონებაში, ვითარცა საყვარელი, ნებიერი ძმა, რომელიც გაჰქრა უცბად და დაგვტოვა თვალ-ცრემლიანნი, მგლოვიარენი.

მაგრამ ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ ტანჯვა-ვაება, მწუხარება და სიკვდილი უბრალო შემთხვევაა? თხუტმეტის წლის განმავლობაში ოცის ტომის დამწერს მოპასონს, შეეძლო კიდევ დიდ ხანს ეცოცხლა, კიდევ ორი ამდენი წიგნი დაეწერა და ამ წიგნებით დაემშვენიერებინა ბიბლიოტეკები. რა მოგახსენოთ? ხანდახან აი ეს მაფიქრებს ხოლმე, როცა ვხედავ, რამდენსა სწერს ეხლანდელი მწერალი. მართალია, ეს ამტკიცებს ჩვენს სიყვარულს შრომისას, ეს ახალგაზდობას მაგალითს ძლევს და შრომას აყვარებს, მაგრამ ამდენი ნაწერიც დიდი ტვირთია ადამიანის გონებისათვის. არასოდეს არ მომხდარა, რომ ერთის მწერლის მიერ დაწერილი მრავალ ტომიდგან რამდენსამე ფურცელის მეტი დარჩენილიყოს ხალხის გონებაში. ვინ იცის, იქმნება დიდის ნიჭის უკვდავება იმალება მხოლოდ ერთს მოთხრობაში, ერთს არაკში, ერთს იგავში, რომელსაც ერთი ჩამომავლობა მეორეს გადასცემს, როგორც საუკეთესო ქმნილებას სახელ განთქმულის მწერალისას.

დიაღ, ბატონებო, თუ მოპასანსაც ასეთი სახელი მოელის, იქმნება, ეს სახელი იყოს ყველაზედ განთქმული და უკვდავი! მაშ განისვენოს იმ ძილით, რომელიც ასე ძლიერ დაუჯდა, განისვენოს იმ იმედით, რომ მის მიერ ნაბოძები საუნჯე უკვდავი იქმნება. ჩვენს გულშიაც, ვინც ვიცნობდით განსვენებულს, დარჩება მისი დიადი და მწუხარე სურათი. ხოლო ვინც მომავალ საუკუნეებში გაიცნობს, ისინიც გადუშლიან და შესწირავენ თავიანთ გულს, სიყვარულს იმ უკვდავ საგალობელისთვის, რომლითაც შეამკო მოპასანმა ქვეყანა და სიცოცხლე ადამიანისა.

---

## დაკარგული სამოთხე

(კატულ მენდესი)

### I

ერთხელ, როდესაც ოცნებით ვიყავ გატაცებული, თვალ წინ წარმომიდგა მშვენიერი ახალგაზდა ქალი, თეთრის კაბით; მხრებზედ ფრთების მსგავსი თეთრი წამოსასხამი ესხა; მე წამსვე გადავწყვიტე, ანგელოზი უნდა იყოს მეთქი.

— ანგელოზო ზეცისავ,—ვკითხე,—რამ მოგიყვანა ჩემთან ამ დროს, ამ ოთახში, ამ საწოლთან, რომელიც, მგონი, არასოდეს არა ყოფილა მოწმედ ისეთის კეთილის საქმისა, რომ ციურ არსებას შეეძლოს ახლო მიეკაროს? ნუ თუ არ გრძნობ ცოდვით მოწამლულ ჰაერსა? თუ ღმერთი გწამს, არ შეხედო ამ ოთახის კედელს, ცოდვილ ტურფა ქალების სურათებით მოფენილს. არ ახლო ხელი ჩემს წიგნებს: ვერც ერთს წიგნში ვერ წაიკითხავ ისეთ რასმეს, რომ ღირსი იყოს შენის ყურადღებისა.

ანგელოზმა მიპასუხა: ყველა ეგ რჩევა შენთვის შეინახე. როცა ჩვენ, ანგელოზნი, ადამიანს ვესტუმრებით, უწინვე ვიცით, რაცა გვწადიან. ნუ მკითხავ, რით მოიპოვე ჩემი წყალობა. ჩვენ ხშირად ისეთს კაცს ვესტუმრებით ხოლმე, რომელიც სრულებით არ არის ღირსი ამ წყალობისა.

გაჩუმდი. ან რა მეთქმოდა? მე მოვედიო,—მითხრა ანგელოზმა,—რომ სამოთხეში წაგიყვანო, ახლავ, ამ წუთას. საჭირო არ არის ამისთვის არც შენი სიკვდილი, არც დასაფლავება. წამოხვალ?

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა. ვინ იტყვის უარს მაღალ ზეცისა და სამოთხის ნახვაზედ?

— წავიდეთ ეხლავ,—ვუპასუხე.

წამსვე ოთახში გაჩნდა ალის ფერი ღრუბელი; ღრუბელს პატარა ნავი ჰქონდა მობმული. ჩავსხედით ნავში და სისწრაფით გაგვაქანა ზეცას.

### II

როცა კარგა დავშორდით დედამიწას,—ვკითხე:

— ანგელოზო ზეცისავ, მითხარ გეთაყვა, მართლა ისე მშვენიერია სამოთხე, როგორც ჩვენ ცოდვილ ადამიანებს გვგონია? მითხარ ეხლავ, რას ვნახავ სამოთხეში?

— სამოთხის მშვენიერება არ ითქმის. შეგიძლიან წარმოიდგინო მშვენიერი ედემის ბაღი, რომლის ნიადაგს ანკარა წყალი არ შეედრება, შეგიძლიან წარმოიდგინო ვარდი, რომელსაც არ შეედრება ტურფა ბაგენი გულის სატრფოსი. მაგრამ ვერ წარმოიდგენ იმ ნეტარებას, რომელიც გულს აგივსებს, როდესაც ეღირსები სამოთხის ნახვას.

მოთმინება აღარ მქონდა. „მაშ ჩქარა, ჩქარა,“—ვეხვეწებოდი ანგელოზს, მაგრამ ამ დროს ნავი უცბად შესდგა.

— რა მოხდა?

— მძიმე ხარ.

მივიხედ-მოვიხედე და ვერა ვნახე, რა უნდა გადამეგდო ნავიდგან, რომ შემემსუბუქებინა. ტანთაც-კი არ მეცვა.

შენი გულის სიმძიმე გვაწუხებს,—მითხრა ანგელოზმა,—თუ სამოთხის ნახვა გინდა, გადააგდე ეგ შენი სურვილი სახელისა, დიდებისა, სიმდიდრისა, რადგანაც სწორედ ეგ სურვილი გამძიმებს.

მერე განა ადვილი იყო ესა? ვის არა სურს სახელი, დიდება, სიმდიდრე! მაგრამ ყველა ეს დავთმე და გადმოვაგდე ცოდვილ დედამიწაზედ. ნავი ისევ ზეცას აფრინდა.

### III

ჯერ შორს ვიყავით სამოთხეზედა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი ციურს სანეტარო ნათელსა. უკვე დავშორდით დედამიწის წყვდიადს და მიუახლოვდით ზეცას. წყნარად მოფრინავდნენ მშვენიერი ციური ფრინველები. გული გამოუთქმელის სიხარულით ამევსო. ოჰ, რა ნეტარება მომელის სამოთხეში, თუ-კი ჯერ აქვე ვგრძნობ ასეთს სიხარულსა!

ნავი კიდევ გაჩერდა.

— მძიმე ხარ,—მითხრა ანგელოზმა.

— დავთმე და გადავაგდე სურვილი სახელისა, დიდებისა, სიმდიდრისა. სხვა რაღა დამრჩა?

— მართალია, მაგრამ შენს გულში კიდევ დარჩა მოგონება სიყვარულისა. შენ ჯერ არ დაგვიწყებია ცოდვილი ტურფა ქალები. კიდევ გახსოვს მათი ღიმილი, ალერსი, ხვევნა, კოცნა, და ეგ მოგონება გამძიმებს.

როგორ! ნუთუ ყველა ეს უნდა დავივიწყო და დავთმო იმათ, ვინც ეხლა დარჩა დედამიწაზედ. მაგრამ სამოთხის ნახვის სურვილმა მაინც სძლია ყველა ამ მოგონებას და დავივიწყე, დავთმე, გადმოვაგდე ბნელს უფსკრულში მოგონება ალისფერ ბაგეთა, ბროლის გულ-მკერდთა, დავივიწყე ალერსი, ხვევნა, კოცნა...

ნავი ისევ აფრინდა.

### IV

ოჰ, საკვირველებავ! ვნახე, ვნახე ძლივს ალმასის კარი სამოთხისა. თვით სამოთხე ისე ახლოს იყო, რომ ლამის დამაბრმავა თავის მშვენიერებით. ვნახე ციური ნათელი, რომელიც თეთრ ვარდივით იშლებოდა. იქ, ამ კარის იქით, ვარსკვლავებით მოფენილ ედემში დასეირნობენ ანგელოზნი ზეცისა. ოჰ, წმინდა სიყვარულო, საუკუნო ბედნიერებავ... ცოტა კიდევ, და ამ ბედნიერებას ვეღირსები.

ნავი ისევ გაჩერდა. მწარედ დავღონდი.

— ანგელოზო ზეცისავ! განა არ დავთმე ყველა ის, რაც-კი მებადა? განა არ დავთმე სურვილი სახელისა, დიდებისა, სიმდიდრისა? განა არ დავთმე ცოდვილი სიყვარული ცოდვილ ტურფათა? რაღა დამრჩა?

— კიდევ მძიმე ხარ,—მითხრა ანგელოზმა,—კიდევ დაგრჩა...

— რა, რა დამრჩა? აღარა დამრჩენია რა.

— შორს, გულის სიღრმეში, იმაზედ ღრმად, სადაცა გქონდა სურვილი სახელისა, დიდებისა, სიმდიდრისა, იმაზედ შორს, სადაც გქონდა მოგონებანი ლამაზ ქალთა ალერსისა და ხვევნა კოცნისა, იმაზე ღრმად ჩაგრჩენია სიყვარული ერთის ახალგაზდა ქალისა; არ არის ძრიელ ლამაზი, მაგრამ გიყვარს, არ უყვარხარ, მაგრამ შენ მაინც გიყვარს; არა რის ღირსი შენის სიყვარულისა: იმას სხვა უყვარს, მაგრამ შენ-კი ვერ ივიწყებ. ხომ გახსოვს, პირველად რომ უთხარ „მიყვარხარო“, უარი გითხრა შენ სიყვარულზედ. დაივიწყე ეგ სიყვარული!..

— არა, ვერ დავივიწყებ!.. მაშინ განრისხებულმა ანგელოზმა ხელი მკრა და წამსვე დავეცი ცოდვილ დედამიწაზედ, შეშინებული, დამტვრეული, ცოცხალ-მკვდარი, მაგრამ მაინც ბედნიერი ჩემის სიყვარულითა...

ა. ნ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად ბ-ონ ფრ. მათიკაშვილს.

„ივერიის“ 78 №-ში დაბეჭდილია წერილი ქუთაისის ორ-კლასიან სკოლის მასწავ-

---

წარმატებაში შესვლა ც საჭიროება უნდა მოითხოვდეს ცოტა რამ ვსთქვათ იმის სასკოლო სახლზე. მთელ ოზურგეთის მაზრისათვის იმ ერთს სამოქალაქო სასწავლებელზე, რომელშიაც მხოლოდ გურიის მიწის-შვილნი იღებენ სწავლა-განათლებას, აქამომდე არც ქალაქს და არც სხვა ვისმეს არაფერი დაუხარჯავს და არც ეხლა ეხარჯება; უკანასკნელ წლებში კი შესწირეს სკოლას ოზურგეთის საზოგადოებამ და სხვა ადგილებში მყოფებმა რამდენიმე ათი თუმანი სასკოლო ორკესტრის დასაარსებლად. ეს იყო და ეს. რამდენი წელიწადია, ეს სასწავლებელი არსებობს აქ და აქამომდე, არამც თუ რიგიანი, ურიგო საკუთარი შენობაც არა აქვს. 9—10 წლის წინად საქალაქო სკოლის კლასები იყო მოთავსებული სალებში ქალაქის ოთხს სხვა-და-სხვა დაშორებულს ადგილს. ამის შესახებ ხშირად მოიგონებენ ხოლმე ერთს თითქო სასაცილო და მასთან სამწუხარო ამბავს. სწორედ იმ დროს, როდესაც სკოლის კლასები მთელს ქალაქში ასე დაქსაქსული იყო, მოსულა აქ ერთი რევიზორი (ეხლა იგი გარდაცვალებულია); უნახავს თუ არა ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა სასწავლებლისა, შეუფურთხებია (ბოდიშს ვიხდი მკითხველთან) სკოლისათვის და ვაჯავრებული უკანვე გაბრუნებულა.

მხოლოდ ამას შემდეგ, ასე 1884—85 წელს, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის კლასებისათვის მოუყრიათ თავი ერთს ადგილას, ისიც ორს ერთ-სართულიანს სახლში, სადაც სკოლა იმყოფება ეხლაც. სახლების პატრონს ეძლევა სკოლისაგან 800 მანათი წელიწადში; მაგრამ მარტო ეგ ფული ვერ ჰყოფნის სკოლას სახლის ქირად: სკოლის ინსპექტორ-მასწავლებელს მდგომარე სამოსწავლო წლის დასაწყისიდამ ეძლევა 200 მანათი თავისათვის სახლის დასაქირად. მაშასადამე, სასწავლებელს სახლის ქირად ეხარჯება ყოველ წელიწადს 100 თუმანი. ეს ფული-კი სახლის ქირად დიდია ისეთს პატარა ქალაქში, როგორც ოზურგეთია. მკითხველი მიჰხვდებოდა, რომ მასწავლებელი—ინსპექტორი სკოლის გარეშე სცხოვრებს. ეს გარემოება-კი, რომელიც, რა მხრიდამაც უნდა შეჰხედოს კაცმა, არ არის სასწავლებლისათვის კარგი,—გამოიწვია სასკოლო სახლების სივიწროვემ. არ გვგონია, რომ სხვაგან სადმე ასეთს ვიწრო და უვარგისს შენობაში იყოს მოთავსებული სკოლა, რომელსაც 300 მეტი მოსწავლე ჰყავს: საკლასო ოთახები ისე ვიწრო და პატარაა, რომ ერთს ადგილზე ორი ყმაწვილი ზის, სტოლებს შორის საკმაო ადგილიც არ არის, რომ ყმაწვილებს თავისუფლად შეძლოთ მოძრაობა; ის ოთახები, სადაც მოსწავლენი იკრიბებიან მუსიკის, ხელით მუშაობის და აბრეშუმის ჭიის მოყვანის შესასწავლად, ხომ სულ არ შეეფერება საქმის გარემოებას. გარდა წიგნთ-საცავისა და პატარა ფიზიკურის კაბინეტისა, სკოლასთან არსდება მუზეუმი, რომელსაც, გარდა სხვა გვარ მნიშვნელობისა, არა მცირე სამსახურის გაწევა შეუძლია ყმაწვილების სწავლების დროსა. ამ საგნისათვისაც უჭირს სკოლას ოთახები. თუ წინად, როცა მოსწავლეთა რიცხვი ნაკლები იყო და მოთხოვნილებანიც მცირე, სკოლას მოსაწონი შენობა არ ჰქონდა, ეხლა რაღა ითქმის? ეხლა ის ითქმის მოკლედ, რომ გარდა ზემოხსენებულის ნაკლისა ბევრს ჰიგიენურსა და პედაგოგიურს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ნუ თუ ადგილობრივ მკვიდრთა და კერძოდ თავად-აზნაურობამ სულ ასე გულ-გრილად და, გავკადნიერდები, თითქო მტრულად უნდა უცქიროს შორიდამ გაჭირებულს მდგომარეობას იმ სკოლისას, სადაც შვილები ეზრდებათ? რომელი ზნეობრივი კანონი მოგვცემს ნებას ვუკიჟინოთ ყველას, ან ანგარიში მოვთხოვოთ რომელსამე შემთხვევაში, როდესაც თვით მცხოვრებნი განზე გამდგარან და არც მატერიალურად ანუ სხვ გვარად არ ეხმარებიან თავისსავე სასწავლებელს? ხსენებულს სკოლას ერთი რამ აუცილებლად საჭიროც აკლია. ეს გახლავთ ის ფრიად საყურადღებო გარემოება, რომ მოსწავლენი სასწავლებლისა ქალაქში სცხოვრებდნენ. უმეტესი ნაწილი აქაურ მოწაფეთა ცხოვრებს ოზურგეთის გარშემო სხვა-და-სხვა სოფლებში, ტყეში, 3—6 ვერსის მანძილზე, თუ მეტზე არა. განა ასეთის სიშორიდამ, ტყიდამ, სიარული ოზურგეთს 2—4 გზით ყმაწვილების აღზრდა-სწავლის საქმეს არ დაუშლის? ოზურგეთელები მოსწავლეების გალობა-მუზიკის მოსმენით სიამოვნებენ ხოლმე, მაგრამ ის აზრი იმათ არასოდეს არ მოუვათ, თუ რა წვალება-ტანჯვად უღირთ მოსწავლეებს ამ სიამოვნების მიცემა. წინადაც გვითქვამს მოსწავლე ყმაწვილების ასეთის მდგომარეობის შესახებ და ეხლაც ვიმეორებთ, რათა გაიგოს მაინც მკითხველმა—რა ვითარებაში მოსწავლის ცხოვრება და რა შედეგი უნდა ჰქონდეს ფიზიკურად და სულიერად ასე ვაი-ვაგლახით მიღებულს სწავლას. თუ ცალკე ერთს მშობელს უსაშველობის გამო ვერ მოუხერხებია თავისი შვილი სწავლის დროს უფრო უკეთ აცხოვროს, მთელს ხალხს, შეერთებულის ძალით, ყოველთვის შეუძლია ამ მხრით მოსწავლე ახალთაობაზე ზრუნვა. როგორ მოევლება ამ დაბრკოლებას ყმაწვილების სწავლაში, ამის მიხდომა ძნელი არაა, თუ-კი სურვილი და ერთობა იქნება.

ი. ხოტეველი

(დასასრული იქნება)

ლებლად ნამყოფის ფრ. მათიკაშვილისა, რომელშიაც სხვათა შორის ჩემზედაც არის ნათქვამი რამდენიმე სიმართლეს მოკლებული სიტყვა. „15 დეკემბერს 1891 წ. მე მომივიდა უსიამოვნება სოფ. უვარლის ურილობასთანაო“, ბრძანებს მათიკაშვილი, და მერე დღესვე ჩემს პირდა-პირს მთავრობას დეპეშით აცნობა მასწავლებელმა ბ-ნმა დუმბაძემაო: „პირველ მასწავლებელს—მათიკაშვილს სოფელი აუჯანყდა, ნება მიბოძეთ აქედამ წამოვიდეო“. ამის გამო მე დროებით გადამაყენეს და დუმბაძე-კი ჩემს ალაგს—დანიშნულ იქმნაო“.

განა აჯანყება არ—იყო, რომ გლეხები ბავშვებს აღარა ჰგზავნიდნენ სკოლაში? რატომ არ ბრძანებთ, რა შედეგი მოჰყვა ამ უსიამოვნებას? სკოლაში ხუთი შეგირდი არ მოვიდა ამ უსიამოვნების წყალობით, და მაშ არ შემეტყობინებინა მთავრობისათვის? მე შეგირდებისათვის უნდა მესწავლებინა, თუ ცარიელ სახლში ვყოფილიყავ? მე ვსთხოვდი დირექციას უვარლიდან წასვლას იმიტომ-კი არა, რომ უსიამოვნება მოვიხდათ უვარლელებთან, არამედ იმიტომ რომ შეგირდები აღარ მოდიოდნენ სკოლაში. „ამის გამო მე დროებით გადამაყენესო“. ნუთუ თქვენ ჩემი დეპეშის გამო გამოუძიებლად გადაგაყენეს? ვინ დაიჯერებს ამას!... იწყებთ-რა წერილს, ამბობთ „ივერიის“ მე-60 №-ში დაბეჭდილია ცნობა, ვითომც თელავის მომრიგებელმა მოსამართლემ მე შვიდი დღით ციხე და ორი თუმანი ფული გადამიწყვიტა მღვდლის მ. ვარდიევის შეურაცხყოფისათვის. ეს ცნობა მართალი არ არისო“. ამაზე უარს ვერ იტყვით, რომ გადაგიწყვიტათ, მხოლოდ მიხეილ ვარდიევის შეურაცხყოფისათვის-კი არა, არამედ ალექსანდრე ვარდიევის შეურაცხყოფისათვის. აი ამაშია მხოლოდ შეცთომა თელავიდამ ცნობის მომწერისა, რომ ალექსანდრეს მაგიერ, მიხეილი მოუწერია.

შემდეგ სწერს იგივე მათიკაშვილი, „როგორც მაზრის უფროსმა გამოარკვია, დირექციის დავალებით, ყოველი უსიამოვნება სალხსა და მათიკაშვილს შორის მღვდლის ვარდიევისა და დუმბაძის ინტრიგების გამო მომხდარაო; მათიკაშვილი ტყუილად დაგისჯიათო. აი ეს მისწერა დირექციას მაზრის უფროსმაო“. ცხადია ეს სიტყვებიც სიმართლეს მოკლებულია. მაზრის უფროსმა სულ სხვა საქმე გაარჩია თქვენი და არა ის, რასაც თქვენ იწერებით. ან სადაურია—გაგამართლათ დირექციის დავალებით მაზრის უფროსმა, ერთის სიტყვით, როგორც ბრძანებთ „ტყუილად დასჯილათ გცნოთ“ და ადგილი-კა აღარ დაგიბრუნათ? მერე ამბობთ: „იმისთვის არ დამიბრუნეს ადგილი, რომ „ივერიის“ და „Нов. Обозр“. ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობა, ვითომც მე სოფლის ურილობაში მღვდელი მიხეილ ვარდიევი ავად მოვიხსენიე და ხანჯლითაც მოსაკლავად მივიწიე. ამ ამბავმა ჩემთვის ადგილის დაბრუნება ისევ უკან დააყენა, ვიდრე მღვდლის საჩივარი ჩემზე სასამართლოში გადაწყდებოდაო“. როგორ თუ ამ ამბავმა ადგილის დაბრუნება უკან დააყენა? ამ ამბავმა-კი არა, იმ ამბავმა, რომ მღვდელმა გიჩივლათ თქვენ, როგორც შეურაცხობილმა თქვენგან, მაშასადამე, გაზეთები, ან მათში დაბეჭდილი კორრესპონდენციები, აქ რა მოსატანია. „მომრიგებელმა მოსამართლემ გამამართლა მეო“, ბრძანებთ თქვენ; მღვდელი ვარდიაშვილი ამას არ დასჯერდა და ოლქის სასამართლოში გადაიტანა საჩივარი, სადაც საქმის გარჩევა დანიშნულია აპრილის 28 სათ“. დიაღ, აი სწორედ ამ 28 აპრილს გაარჩია თქვენი საქმე და, ხომ იცით, რომ ტფილისის ოლქის სასამართლომ თოთხმეტი დღით დაპატიმრება გადაგიწყვიტათ. ამაზე რაღას იტყვით? მაშ მე აქ რა შუაში ვყოფილვარ? ქვეყანაა და სამართალი. იქნება ის გეწყინათ ჩემგან, რომ მე ვმოწმე მართალ კაცს, მიხეილ ვარდიევს. ეს უარესი თქვენთვის.

დიმ. დუმბაძე.

# დეპეშა

8 ივლისი

**პეტერბურგი.** ყაზანის სწავლა-განათლების ოლქის მზრუნველის თანაშემწე ლატიშევი გადაყვანილ იქმნა სწავლა-განათლების სამინისტროს დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად, ეზოვის მაგიერ, რომელიც დაინიშნა სწავლა-განათლების სამინისტროს რჩევის წევრად. პროფესორი მენდელეევი დაინიშნა წონა-ზომათა უმთავრეს პალატის გამგედ. გენერალ ციმერნი გაგზავნილ იქმნა ორლოვისა, ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიებში კალიასთან საბრძოლველად.

გაზეთები იუწყებიან, რომ კვირაობით შესვენების შესახებ ცნობები იკრიბება ქალაქების საბჭოებიდგან და სხვა ადგილობრივ დაწესებულებათაგან; მხოლოდ შემდეგ შესდგება პროექტი და წარედგინება მაღალს საკანონმდებლო დაწესებულებას.

9 ივლისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგე მიემგზავრება შუა და სამხრეთ რუსეთში დასათვალიერებლად სოფლის მრეწველობისა და ხვნა-თესვისა.

**პარიჟი.** ბანგკოკიდგან იუწყებიან, რომ მეფის სახლობა, როგორც ეტყობა, ემზადება იქიდგან წასასვლელად; ხალხი მეტად აღელვებულია. ჰფიქრობენ, ვითომ მეფე და მის სასახლეში მყოფნი სცდილობდნენ თავზარი დასცენ ხალხს იმ განზრახვით, რომ სხვა სახელმწიფონი დაიხმარონ და სამხედრო ხომალდები მიიშველიონ.

**ლონდონი.** ტანძინიდგან დეპეშით აუწყებენ რეიტერის სააგენტოს, რომ ბონგკოკში მომხდარ ამბების გამო ჩინეთის მთავრობა ემზადება სიამისადმი დასახმარებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,57 | 7,60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . | — ,, | — ,, | 226 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 194 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 101 1/4 | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 1/4 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—76)

დაიბეჭდა და ისყიდება

**შინაური საქონელი**

და

მისი გონიერი მოვლა-მოშენება.

ივ. როსტომაშვილის მიერ.

გამოცემა

წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებისა.

ფასი ერთი შაური

## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო საავადმყოფო
## საავადმყოფო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ნავოსნობა,
### ვაჭრობა და სამთო მრეწველობა ივანე სიმონის ძის
## კოშკინისა.

**ბათუმის განყოფილება** ფირმის საპატიო მოქალაქის, ქ. როსტოვის (დონისა) 1 გილდის ვაჭარის **ს. ს. კოშკინისა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1893 წლის 1 აპრილიდგან ქალაქ ბათუმში დაარსდა განყოფილება ამ ფირმისა ყველა საქმეთათვის.

ნავოსნობა. მიიღება საქონელი ბათუმიდგან გასაგზავნად ოდესასა, ნიკოლაევსა, კერჩსა, როსტოვსა (დონზედ) და ამ ქალაქებიდგან ბათუმში.

სამთო მრეწველობა. დაარსდა საწყობი საუკეთესო თვისების ანტრაციტისა გრუშევსკის მადნებისა.

ვაჭრობა. ფირმის მაღაზიაში ისყიდება ნარდად და ცალ-ცალკე შემდეგი საქონელი:

I მასალა შენობისათვის: რკინა, ფოლადი, სხვა-და-სხვა ხარისხისა და სიდიდისა, სპილენძი, კალა, ტყვია, თუთია (ცინკი), ფანჯრებისა და კარებებისა კლიტე-გასაღებები და რაზები, ღუმელები, კარებები და სხვ., ცეცხლისაგან უშიშარი აგური და თუთია სხვა-და-სხვა ხარისხისა, საღებავი წამლები მშრალი და გაკეთებული, ლურსმები მავთულისა.

II ოჯახებისთვის: სამოვარები, ჩაინიკები, დანა-ჩანგალი და სხვა საგნები სპილენძისა, თუჯისა, რკინისა და ფოლადისა, ემალიანი ჭურჭელი, ზანდუკები ხისსა და რკინისა, კასსები, საწერი ქაღალდი ფოსტისა და შესახვევი და კანცელარიებისთვის საჭირო ნივთები.

III საგნები სამეხანიკო სახელოსნოებისთვის: ყოველ გვარი იარაღი დურგლებისა, ხარატებისა და ჩილინგდრებისა, ვინტები, გაიკები, ბოლტები, გრდემლები, ფუქსები მჭედლებისათვის და სხვ.

IV საგნები გემებისთვისა და სამთო მუშაობისთვის: თოკები კანაფისა და მავთულისა, ნიჩბები, ღუზა, ჯაჭვები, ლამფები, საწონები და სხვ.

V მეურნეობისთვის: გუთნები, სანიავებლები, სალეწები, ცელები, დუქარდები და სხვ.

ყოველ გვარი საქონელი ნაყიდია პირდაპირ ქარხნებიდგან და ამიტომ ფასები ძლიერ იაფია.

——— ვინც საქონელს დაიბარებს დაუყონებლივ გამოეგზავნება ———

ფირმა დიდი ხანია რაც არსებობს (1817 წლიდგან) და ამ დროს განმავლობაში არა ერთხელ დამტკიცდა, როგორ მტკიცედ ასრულებს თავის მოვალეობას და კეთილ სინდისიერად ვაჭრობს, რითაც დაიმსახურა სამაგალითო ნდობა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცებისა, რომელთაც-კი საქმე ჰქონიათ ამ ფირმასთან.

სავაჭრო კანტორა იმყოფება ვიტუშინსკის სახლში, დონდუკოვ-კარსაკოვისა და სკობელევის ქუჩების ქიმში.

**ადრესი:** წერილებისთვის—Батумъ, Ивану Семеновичу Кошкину.

დეპეშებისათვის—Батумъ, Кошкину.

უმთავრესი კანტორა როსტოვშია (დონისა). განყოფილებანი და საააგენტოები ოდესასა, ნიკოლაევსა, სევასტოპოლსა, კერჩსა, ტაგანროგსა, პიატიგორსკსა და ეკატერინოდარში.

საკუთარი მადნები იმყოფება გრუშონსკში, დონის ოლქში.